წერილის ნომერი: **30-302125615**
თარიღი: **13/09/2021**
პინი: **7978**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**ადრესატი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**ადრესატი:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ მიმდინარე წლის 10 სექტემბერს 15 საათზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში დაგეგმილი იყო გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით აღნიშნული ღონისძიება გადაიდო. გაცნობებთ, რომ გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2021 წლის 28 სექტემბერს, 15:00 საათზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში. საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პატივისცემით,

ბიძინა იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი